კონფიდენციალურობის პოლიტიკა

• mafia.ge აფასებს ამ ვებ გვერდზე (შემდგომში - ვებ გვერდი) თქვენს ვიზიტს და იმ ინტერესს, რომელსაც ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების მიმართ იჩენთ.

• თქვენი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ჩვენი ვებ გვერდის სტუმრობის განმავლობაში, გვსურს თავს კომფორტულად გრძნობდეთ.

• ჩვენ ვუფრთხილდებით და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რომელიც გროვდება, მუშავდება და გამოიყენება ვებ გვერდზე თქვენი სტუმრობის დროს და შემდგომში.

• ვებ გვერდით სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკით.

• ვებ გვერდზე შემოსვლით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას (შემდგომში - პოლიტიკა).

• თუ თქვენ არ ეთანხმებით წინამდებარე პოლიტიკას, არ განაგრძოთ ვებ-გვერდის მომდევნო გვერდებით სარგებლობა.

• წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, რომ მას გაეცნოთ რეგულარულად. წინამდებარე პოლიტიკის ბოლო აბზაცი მიანიშნებს იმ თარიღს, თუ როდის მოხდა პოლიტიკის უკანასკნელი განახლება.

პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის დაპირება

ჩვენ, mafia.ge -ს გუნდი, ვდებთ პირობას, რომ:

• ყოველთვის ვიზრუნებთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვაზე;

• არ გამოვიყენებთ თქვენს მონაცემებს არამართლზომიერად;

• მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს უსწრაფესად მოგაწვდით სრულ და ამომწურავ ინფორმაციას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

თქვენ როგორ ხართ დაცული კანონით?

ზემოთ ხსენებულ მონაცემებს იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი.

კანონმდებლობის თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს მოგვთხოვოთ ინფორმაცია თქვენი მონაცემების დამუშავების თაობაზე.

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ შემდეგი სა ხის ინფორმაცია :

● რომელი მონაცემები მუშავდება თქვენს შესახებ;

● მონაცემთა დამუშავების მიზანი;

● მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

● რა გზით შეგროვდა თქვენი მონაცემები;

● ვის გადაეცა თქვენი მონაცემები;

● მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაციის ასლი.

კანონმდებლობის შესაბამისად თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი პირადი მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რამაც შესაძლოა ხელი შეგვიშალოს დაუყოვნებლივ წავშალოთ თქვენი პირადი მონაცემები. ასეთი ვალდებულებები შესაძლოა გამომდინარეობდეს საგადასახადო კანონმდებლობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა რელევანტური კანონმდებლობიდან.

mafia.ge -ს აქვს თქვენი ინფორმაციის გამოყენების კანონიერი საფუძველი, რაც გულისხმობს ბიზნესთან დაკავშირებული ან/და კომერციული მიზნის არსებობას. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, mafia.ge -ს მიერ ინფორმაციის დამუშავება არ არის მიმართული თქვენი ინტერესების შელახვისაკენ.

რა მიზ ანს ემსახურება წინამდებარე პოლიტიკა და რა არის მისი მოქმედების სფერო?

mafia.ge, მისი შვილობილი კომპანიები ან/და აფილირებული პირები, ცდილობენ დაიცვან იმ პირების პერსონალური მონაცემები, რომლებიც სარგებლობენ ვებ გვერდით. შესაბამისად,

mafia.ge -მ შეიმუშავა წინამდებარე პოლიტიკა იმის აღსაწერად, თუ როგორ და რა სახის ინფორმაცია შეგროვდება ვებ-გვერდის მომხმარებლებისგან და იმ მიზნების განსასაზღვრად, რომლის მისაღწევადაც mafia.ge -მ შესაძლოა შეაგროვოს, გადასცეს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული მონაცემები. mafia.ge ასევე განსაზღვრავს ყველა შესაძლო გონივრულ ზომას, რომელიც თქვენი მონაცემების უსაფრთხოების დასაცვად არის აუცილებელი.

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ყველა სახის ინფორმაციაზე, რომელსაც თქვენ მიერ ვებ-გვერდის გამოყენების შედეგად მოიპოვებს mafia.ge. პოლიტიკა არ ვრცელდება მესამე პირების იმ ვებ გვერდებზე, რომლებიც არ არიან mafia.ge -სთან აფილირებული პირები, მაგრამ შესაძლოა ასეთ ვებ გვერდებთან კავშირი, mafia.ge -ს ვებ გვერდის საშუალებით იყოს შესაძლებელი (შემდგომში - მესამე პირების ვებ გვერდები). გთხოვთ, გაეცნოთ ასეთი მესამე პირების ვებ გვერდების კონფიდენციალურობის პოლიტიკას, თუკი თქვენ მათ ვებ გვერდებს იყენებთ, იმდენად, რამდენადაც mafia.ge არ არის პასუხისმგებელი და არ აქვს გავლენა არც მესამე პირების ვებ გვერდების შემცველ მასალებზე და არც მათი კონფიდენციალურობის დაცვის პრაქტიკაზე.

რა ინფორმაციას ვა გროვებთ თქვენგან და რა მიზნით?

როდესაც თქვენ სტუმრობთ www. mafia.ge ვებ გვერდს, ჩვენი სერვერი ავტომატურად იწერს დეტალებს თქვენი ვიზიტის შესახებ (მაგალითად, შეზღუდვის გარეშე თქვენი IP მისამართი; ვებ გვერდი, რომლიდანაც ჩვენს ვებ გვერდს ესტუმრეთ; ვიზიტის დრო; გამოყენებული ინტერნეტ-ბრაუზერის ტიპი; მოწყობილობის ტიპი რომელშიც აღნიშნული ბრაუზერია განთავსებული; mafia.ge ვებ გვერდის ის კონკრეტული გვერდები, რომლებსაც ფაქტობრივად ესტუმრეთ; ვებ გვერდზე თქვენი სტუმრობის თარიღი, ხანგრძლივობა და სხვა).

ამასთან, ჩვენ ვაგროვებთ პერსონალურ მონაცემებს, რომელსაც თქვენ გვაწვდით ვებ გვერდის მეშვეობით, მაგალითად, როდესაც შეგყავთ პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვა) ვებ-გვერდის სარეგისტრაციო გვერდზე ან მაშინ, როდესაც ჩვენს ვებ-გვერდზე სიახლეების მისაღებად რეგისტრირდებით, ან რომელსაც გვაწვდიან ისეთი მესამე პირები, რომელთა კლიენტი თქვენ ბრძანდებით.

mafia.ge გამოიყენებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს:

• ვებ-გვერდის ტექნიკური ადმინისტრირების და მისი კვლევისა და განვითარების მიზნებისათვის;

• კლიენტისა და მომხმარებლის ადმინისტრირებისა და მარკეტინგული მიზნებისათვის;

• mafia.ge -ს სხვა ელექტრონულ არხებთან მიმართებით, ზემოხსენებული მიზნებისთვის;

• ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მოსაწოდებლად;

• წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებისთვის.

mafia.ge იცავს ყველა მოქმედ კანონს და რეგულაციას, რომელიც ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხს ეხება.

როგორ ვა გროვებთ და ვინა ხავთ ინფორმაციას თქვენ შესა ხებ?

mafia.ge იყენებს ისეთ ტექნოლოგიას, როგორიცაა მზა ჩანაწერები (cookies) ან თეგი (შემდგომში - თრექინგის ტექნოლოგია) იმისთვის, რომ შევაგროვოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია (იხილეთ: რა ინფორმაციას ვაგროვებთ თქვენგან და რა მიზნით?) და გავიგოთ, თუ როგორ იყენებენ ვიზიტორები ჩვენს ვებ-გვერდს.

მზა ჩანაწერების ან თეგების ტექნოლოგია გვეხმარება ვმართოთ და გავაუმჯობესოთ ვებგვერდის ეფექტურობა, მაგალითად იმის მიხედვით, ყოფილა თუ არა თქვენს კომპიუტერსა

და ჩვენს ვებ-გვერდს შორის წარსულში რამე კავშირი, მოვახდინოთ ვებ-გვერდზე ყველაზე პოპულარული სექციების იდენტიფიცირება და სხვა.

გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ თქვენი მზა ჩანაწერების წესები გაწერილია იმგვარად, რომ მონიშნული არ გაქვთ მზა ჩანაწერის ის ტიპი, რომლის გამოყენებაზე mafia.ge -ს ნებას არ რთავთ.

როდესაც ინახავთ თქვენი მზა ჩანაწერების წესებს, ისინი ასევე ვრცელდება mafia.ge -ს ვებგვერდზე თქვენს სამომავლო ვიზიტებზეც. თუმცა, mafia.ge -ს მიღმა არსებული ტექნიკური

მიზეზებით, ეს გარანტირებული არ არის. მაგალითად, თუ თქვენს მიერ მოხდა ინტერნეტბრაუზერის აღდგენა/ხელახალი ინსტალაცია, მზა ჩანაწერებისგან გაწმენდა ან mafia.ge -ს ვებგვერდზე ვიზიტი სხვა ინტერნეტ-ბრაუზერის ან მოწყობილობის გამოყენებით, თქვენი მზა

ჩანაწერების წესები, შესაძლოა, დაიკარგოს.

ხშირ შემთხვევაში, თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერით თრექინგის ტექნოლოგიების კონტროლი. გთხოვთ, დარწმუნდეთ რომ თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერი ასახავს თქვენ სურვილს გსურთ თუ არა, სადაც ეს შესაძლებელია, გაგაფრთხილოთ თრექინგ ტექნოლოგიების და/ან მათი მიღების შესახებ. თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერის სპეციალურ შესაძლებლობებს და ინსტრუქციებს მათი მოხმარების შესახებ, როგორც წესი, შეგიძლიათ გაეცნოთ თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერის სახელმძღვანელოში ან სექციაში „დახმარება“.

თრექინგ ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარის თქმამ ან მათმა დეაქტივაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს mafia.ge -ს ვებ გვერდის ან მისი სხვადასხვა ნაწილების მიერ შემოთავაზებული სერვისების ხელმისაწვდომობაზე და მათ გამართულ ფუნქციონირებაზე.

ვის გადავცემთ ვებ-გვერდიდან თქვენზე შეგროვებულ ინფორმაციას?

mafia.ge -მ შესაძლოა თქვენი ინფორმაცია გადასცეს მასთან აფილირებულ პირებს, მის ან მისი აფილირებული პირების აგენტებს ან mafia.ge -სთვის სერვისის მომწოდებელ მესამე პირებს თქვენი ქვეყნის გარეთ ან შიგნით, ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ჩვენთან აფილირებული პირები, აგენტები და სერვისის მომწოდებელი მესამე პირები, რომლებსაც mafia.ge -ს ვებ-გვერდის მეშვეობით მოპოვებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ, ასევე გააჩნიათ ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

როდესაც ვახდენთ პერსონალური მონაცემების საერთაშორისო ტრანსფერს, ჩვენ ვრწმუნდებით ვართ თუ არა მოქმედ კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში, მაგალითად, ვაფორმებთ შესაბამის ხელშეკრულებებს იმ პირებთან, რომლებიც თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენგან იღებენ, რათა მათ უზრუნველყონ ამ მონაცემების ადეკვატური დაცვა.

ასევე, ჩვენ მიერ თქვენი ინფორმაცია შესაძლოა გადაეცეს სახელმწიფო ორგანოებს ან ერთეულებს, მარეგულირებელ ორგანოებს ან ნებისმიერ სხვა პირს, მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების, სასამართლო განჩინების ან ოფიციალური მოთხოვნის, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს გამოცემული ინსქტრუქციის საფუძველზე და მიზნების შესაბამისად ან მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წარმართული

ნებისმიერი მსგავსი პროცესის საფუძველ-ზე.

უსაფრთხოების რა ზომები დავნერგეთ ვებ-გვერდის მეშვეობით მოპოვებული თქვენი ინფორმაციის დასაც ავად?

mafia.ge -მ მოახდინა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა გონივრული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომის იმპლემენტაცია, იმისათვის, რომ mafia.ge -ს მიერ ვებ-გვერდის მეშვეობით მოპოვებული თქვენი პერსონალური მონაცემები დაცული იყოს უნებართვო წვდომისგან, გამოყენებისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან.

რა უნდა გაითვალისწინოთ, როდესაც მონაცემებს ინტერნეტის მეშვეობით ა გზ ავნით?

მიიჩნევა, რომ ინტერნეტი არ წარმოადგენს დაცულ გარემოს, და ინფორმაციაზე, რომელსაც ინტერნეტის მეშვეობით იგზავნება (მაგალითად ვებ-გვერდის ან ელექტრონული შეტყობინების სისტემის გამოყენებით) შესაძლოა არასანქცირებული წვდომა მოიპოვონ მესამე პირებმა, რამაც, შესაძლებელია, გამოიწვიოს ინფორმაციის გამჟღავნება, ინფორმაციის შემცველი მასალის ცვლილება ან სხვა ტექნიკური შეცდომა. იმის მიუხედავად, იმყოფებიან თუ არა ინფორმაციის გამგზავნიც და მისი მიმღებიც ერთი და იმავე ქვეყანაში, ინტერნეტის მეშვეობით გაგზავნილი ინფორმაცია შესაძლოა გადაიცეს საერთაშორისო საზღვრების მიღმა და შესაძლებელია აღმოჩნდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც თქვენი ქვეყნისგან განსხვავებით, პერსონალური მონაცემების დაცვისათვის სუსტი მექანიზმები არსებობს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე იმ ეტაპზე, როდესაც ეს ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით holst.geსთვის გადაცემის მდგომარეობაში იმყოფება. იმისათვის, რომ დაიცვათ თქვენი მონაცემების კონფიდენციალურობა, გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ holst.geსთან კომუნიკაციისათვის აირჩიოთ ის მეთოდი, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევთ.

როგორ ვეპყრობით 18 წლამდე პირების შესა ხებ ინფორმაციას?

ვებგვერდის სერვისები არ არის შექმნილი ან გამიზნული 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, რომელთაც რომელიმე იურისდიქციით სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით არ მიუღწევიათ კანონიერი თანხმობის ასაკამდე („კანონით სრულწლოვანი“). თუ თქვენ არ ხართ კანონით სრულწლოვანი პირი, თქვენ არ გაქვთ უფლება ჩამოტვირთოთ ან

ისარგებლოთ სერვისებით ან მოგვაწოდოთ პერსონალური ინფორმაცია.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვიქონიოთ წვდომა და შევამოწმოთ თქვენგან მიღებული ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის გახდება ცნობილი, რომ ინფორმაციის გაზიარება მოხდა მომხმარებლის მიერ, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, ჩვენ უფლება გვაქვს არ გავითვალისწინოთ ეს ინფორმაცია. თუ თქვენ გაქვთ მიზეზი ივარაუდოთ, რომ ჩვენთვის ინფორმაციის გაზიარება მოხდა არასრულწლოვანი პირის მიერ, გთხოვთ, გვაცნობოთ ამის შესახებ.

როგორ შეგიძლიათ თქვენ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ან მათი გაცნობა ?

მოქმედი კანონმდებლობით ან რეგულაციებით გათვალისწინებული წესით, თქვენ შეგიძლიათ:

• გადაამოწმოთ ვინახავთ თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს;

• გვთხოვოთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალური მონაცემების ასლის გადმოცემა; ან

• მოითხოვოთ ჩვენთან დაცული თქვენს პერსონალურ მონაცემებში უსწორობის აღმოფხვრა.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ წერილი შემდეგ მისამართზე: info@mafia.ge